

ნინო შარაშენიძე

# ქართული ენის გრაფიკა

## მორფოლოგია

სასკოლო კურსი

გრამატიკის საკითხები  
სქემები, თვალსაჩინოებები  
მართლწერის საკითხები  
სავარჯიშოები ანალიზისათვის  
გრამატიკის გასამეორებელი ტესტები  
პრაქტიკული გრამატიკის ტესტები



ქართული ენის გრამატიკის სასკოლო კურსი დამხმარე სახელმძღვანელოა იმ მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ კარგად იცოდნენ მშობლიური ენის გრამატიკა.

წიგნში განხილულია ქართული ენის მორფოლოგიის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, სქემებისა და თვალსაჩინოებების საშუალებით გაადვილებულია მათი ათვისება, მოცემულია საკითხის გასაანალიზებელი სავარჯიშოები და ცოდნის შესამოწმებელი ტესტები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის. იგი ქმედით დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სურს იცოდეს ქართული ენის გრამატიკა, წეროს და იმეტყველოს სწორი ქართულით.

ენის შარაშენიძე

**ქართული ენის გრამატიკა**  
**მორფოლოგია**

**სასკოლო კურსი**

რედაქტორები

**სოლომონ ნოზაძე**

**ლალი ბაქრაძე**

**ლალი ქადაგიძე**

დიზაინი და დაკაბადონება

**ფატი გაგულია**

ყდის დიზაინი

**გიორგი ტაბლიაშვილი**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2011, 2013

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-436-6

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, ანდრია აფაქიძის 9  
ტელეფონი 21 33 21

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

**ქართული ენის გრამატიკის სასკოლო კურსი** დამხმარე სახელმძღვანელოა იმ მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ კარგად გაიაზრონ მშობლიური ენის გრამატიკული სისტემა. სახელმძღვანელო წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსს.

ბოლო წლებში გრამატიკისა და ლიტერატურის ინტეგრირებულმა სწავლებამ გამოიწვია ის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ საფუძვლიანი ცოდნა მშობლიური ენის გრამატიკის შესახებ. ეს კი სერიოზულ პრობლემას უქმნის მათი წერითი და ზეპირი მეტყველების დახვეწას. გრამატიკის ცოდნა ხელს უწყობს იმ მოვლენათა კარგად გაანალიზებას, რაც მართლწერას უდევს საფუძვლად. გარდა ამისა, უცხო ენის არაერთ მასწავლებელს გამოუთქვამს უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს არა აქვთ გრამატიკის ელემენტარული ცოდნა, რის გამოც უცხო ენის ათვისების პროცესში მათთვის რთული გასაგები ხდება სხვადასხვა კონსტრუქცია თუ ენაში მოქმედი წესი. ცხადია, თუ მოსწავლეს არა აქვს წარმოდგენა გრამატიკული კატეგორიების შესახებ, მისთვის პრობლემად გადაიქცევა უცხო ენის შესწავლაც. უცხო ენების ათვისებისას აუცილებელია ისეთი უნივერსალური გრამატიკული კატეგორიების გააზრება, როგორებიცაა: პირისა და რიცხვის კატეგორია, ბრუნებისა და უღლების სიტემა, სუბიექტისა და ობიექტის ცნებები, დროის, კილოს, ასპექტის, გვარის კატეგორიები... ისინი ყველა ენაში არსებობს და მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი სისტემის ათვისების პროცესში.

ამდენად, თანამედროვე მოთხოვნებმა განაპირობა თეორიული და პრაქტიკული თვალთახედვის შერწყმა და ახალი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნა. სწორედ ამის მცდელობაა წინამდებარე კურსი.

სახელმძღვანელოს აგების პრინციპი ამგვარია: **თეორიულ მსჯელობას** ყოველთვის წინ უძღვის თვალსაჩინო **სქემები**, რაც ეხმარება მოსწავლეს, **ვიზუალურად** და **სისტემურად** აღიქვას კონკრეტული საკითხი. სახელმძღვანელოში ყოველი თემის შემდეგ მოწოდებულია მართლწერის პრინციპები სათაურით: **„როგორ ვწეროთ უკეთესად“**. ეს პოზიცია, ვფიქრობთ, იმთავითვე აამაღლებს მოტივაციას და თვალნათლივ წარმოაჩენს გრამატიკული ანალიზის საჭიროებას. სახელმძღვანელოში მოცემულია სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ათვისებული მასალის გამყარებას. ამ რუბრიკის სათაურია **„სავარჯიშოები ანალიზისათვის“**. წიგნს ბოლოს ერთვის ტესტების ორი ბლოკი. მასწავლებელს ან თავად მოსწავლეს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ ცალკეული ტესტით შეამოწმოს ათვისებული მასალის ცოდნის ხარისხი. სახელმძღვანელოს ერთვის ორი ტიპის ტესტი: **„გრამატიკის გასამეორებელი ტესტები“** და **„პრაქტიკული გრამატიკის ტესტები“**.

**გისურვებთ წარმატებებს!**



## შინაარსი

რა არის ენა? .....	9
მეტყველების ნაწილები .....	11
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	13
არსებითი სახელი .....	15
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	16
არსებითი სახელის ბრუნება .....	17
არსებითი სახელის რიცხვი .....	18
ბრუნვის ნიშნის გავრცობა .....	20
რა არის ფუძე? .....	20
მართლწერის საკითხები .....	21
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	21
არსებითი სახელის ბრუნება .....	23
თანხმოვანფუძიანი სახელები .....	24
ხმოვანფუძიანი სახელები .....	26
მართლწერის საკითხები .....	28
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	29
საკუთარი სახელის ბრუნება .....	30
მართლწერის საკითხები .....	32
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	33
თანდებულებიანი სახელები .....	37
მართლწერის საკითხები .....	39
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	40
ზედსართავი სახელი .....	45
ზედსართავი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით .....	45
ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები .....	46
ზედსართავი სახელის ბრუნება .....	47
მართლწერის საკითხები .....	48
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	48
რიცხვითი სახელი .....	51
რაოდენობითი რიცხვითი სახელი .....	51
რიგობითი რიცხვითი სახელი .....	52
წილობითი რიცხვითი სახელი .....	52
რიცხვითი სახელების ბრუნება .....	52
მართლწერის საკითხები .....	53
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	54

ნაცვალსახელი .....	57
პირის ნაცვალსახელები .....	58
ჩვენებითი ნაცვალსახელები .....	58
კუთვნილებითი ნაცვალსახელები .....	60
კითხვითი ნაცვალსახელები .....	60
კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები .....	61
მიმართებითი ნაცვალსახელები .....	61
ურთიერთობითი ნაცვალსახელები .....	61
განსაზღვრებითი ნაცვალსახელები .....	61
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები .....	62
უარყოფითი ნაცვალსახელები .....	62
ნაწილაკდართული ნაცვალსახელები .....	62
მართლწერის საკითხები .....	63
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	65
წარმოქმნილი სახელები .....	67
ქონების სახელები .....	67
უქონლობის სახელები .....	68
ხელობის სახელები .....	68
გეოგრაფიული სახელები .....	68
სადაურობის სახელები .....	69
წინავითარების სახელები .....	69
დანიშნულების სახელები .....	69
აბსტრაქტული სახელები .....	69
კნინობით-ალერსობითი სახელები .....	70
-ნარ სუფიქსიანი სახელები .....	70
ბრუნვის წიშნით წარმოქმნილი სახელები .....	70
მართლწერის საკითხები .....	72
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	72
კომპოზიტი – რთული სახელი .....	75
კომპოზიტა დაწერილობა .....	76
მართლწერის საკითხები .....	78
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	79
ზმნა .....	81
ზმნის პირი .....	82
სუბიექტური და ობიექტური პირი .....	82
როგორ გავარჩიოთ, ობიექტური პირი პირდაპირია თუ ირიბი? .....	83
გარდამავლობა .....	84
ზმნის რიცხვი .....	84
მართლწერის საკითხები .....	85
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	86
ზმნის კატეგორიები .....	87
დრო .....	87
კილო .....	88

ასპექტი .....	88
ზმნისწინი .....	89
მართლწერის საკითხები .....	91
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	92
ზმნის ფორმათა დაჯგუფება .....	93
სერიები და მწკრივები .....	93
სერიებად დაყოფის საფუძველი .....	96
ზმნის დაბოლოება, ანუ თემის ნიშანი .....	97
მართლწერის საკითხები .....	98
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	98
გვარი .....	101
ქცევა .....	102
გვარისა და ქცევის ნიშანთა გარჩევის პრინციპები .....	102
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	103
კონტაქტი .....	104
მართლწერის საკითხები .....	104
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	105
რიცხვში მონაცვლე ზმნები .....	106
თავისებური ზმნები .....	106
მართლწერის საკითხები .....	107
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	107
სახელზმნა .....	111
საწყისი .....	112
მიმღეობა .....	112
მართლწერის საკითხები .....	113
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	114
ზმნიზედა .....	117
მართლწერის საკითხები .....	118
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	119
თანდებული .....	122
მართლწერის საკითხები .....	124
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	125
კავშირი .....	127
მართლწერის საკითხები .....	128
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	128
ნაწილაკი .....	132
მართლწერის საკითხები .....	133
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	133
შორისდებული .....	135
მართლწერის საკითხები .....	135
სავარჯიშოები ანალიზისათვის .....	136
გრამატიკის გასამეორებელი ტესტები .....	137
პრაქტიკული გრამატიკის ტესტები .....	149

**ენათმეცნიერება  
ანუ  
ლინგვისტიკა**

**ლექსიკოლოგია**

ენაში  
არსებული  
სიტყვების  
შესწავლა,  
არკვევს  
სიტყვების  
მნიშვნელობას.

**ფონეტიკა**

შეისწავლის  
ბგერებს, მათი  
წარმოქმნის  
პირობებს და  
ცვლილებების  
წესებს.

**გრამატიკა**

სწავლობს ენის  
აგებულებას,  
სიტყვათა  
ფორმებს და  
ფუნქციას.

**სტილისტიკა**

შეისწავლის  
სიტყვათა  
გამოყენების  
ხერხებს.

**მორფოლოგია**

შეისწავლის  
სიტყვათა  
ფორმებს,  
მაწარმოებელ  
ელემენტებს და  
მათ  
მნიშვნელობებს.

**სინტაქსი**

შეისწავლის  
სიტყვათა  
დაკავშირების  
წესებს და  
შესიტყვებებში  
სიტყვათა  
ფუნქციებს.



1. დაფიქრებულხართ იმაზე, რა არის ენა? რას ნიშნავს ენა ადამიანისათვის ან საზოგადოებისათვის? თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?
2. როგორ ფიქრობთ, ენა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთკავშირის, ურთიერთობის საშუალებაა თუ უფრო მეტი?
3. ქართულში არსებობს ასეთი სიტყვები: „მეტყველება“, „მეტყველი“, „უტყვი“, „პირუტყვი“... რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ ამ სიტყვას? თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება ერთმანეთს აზროვნება და მეტყველება?
4. დაუკვირდით სიტყვას „ენათმეცნიერება“; რას გეუბნებათ ეს სიტყვა? რას უნდა ნიშნავდეს იგი?
5. იცით თუ არა, რას სწავლობს გრამატიკა? ან რა ნაწილებისაგან შედგება იგი?

## რა არის ენა?

ენა ადამიანთა არსებობის განუყოფელი ნაწილია. არ არსებობს საზოგადოება ენის გარეშე. ენის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის ნააზრევის გამოხატვა. იგი ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა. ბიბლიური გადმოცემა ენათა წარმოშობის შესახებ ასეთია: ძველმა ბაბილონელებმა გადაწყვიტეს აქმენებინათ უზარმაზარი სიმაღლის გოდოლი და ღმერთამდე მიეღწიათ. მაგრამ ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე აამეტყველა, მათ ერთმანეთს ველარაფერი გააგებინეს და გოდოლიც ვერ აშენდა. მას შემდეგ კი კაცობრიობას უამრავი ენა აქვს.

ენა ეროვნულობის უმთავრესი ნიშანია.

ენა დაკავშირებულია მეტყველებასთან. ადამიანი ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელსაც მეტყველება შეუძლია. ამიტომაც ეწოდება მას „მეტყველი“. ცხოველებს, მართალია, აქვთ ისეთი თვისებები, რომლებიც აზროვნებაზე მიუთითებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ აზრის, სურვილის, განწყობის გამოხატვა. ამიტომაც მათ ქართულში „პირუტყვი“ ეწოდა, ანუ არსება, რომელსაც მეტყველება არ შეუძლია. მეტყველება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: წერიტი, ზეპირი, სხეულის სხვადასხვა ნაწილებით (ჟესტიკულაციითა და მიმიკით) გამოხატული, მაგრამ ამ ყველაფერს საფუძვლად მაინც ენა უდევს. ამიტომაც ენა ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა.

მაგრამ დაფიქრებულხართ იმაზე, როგორ მოქმედებს ენა? რამდენი სიტყვა, ფორმაა ენაში? არსებობს მათ შორის რაიმე კავშირი? იგი ერთიანი სისტემაა თუ უსისტემოდ დაკავშირებული სიტყვების ერთობლიობაა? რა მიმართებაა სხვადასხვა ენას შორის? არსებობს მათ შორის მსგავსებები, ერთგვაროვნება? რა მოვლენები მიმ-


დინარეობს ენაში? როგორ შეისწავლიან მეცნიერები ენას? ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა ვიმეტყველოთ სწორად? რომელი ფორმაა ენაში სწორი და რომელი არასწორი? რა პრინციპები უდევს საფუძვლად სწორად წერას და მეტყველებას? – აი, ეს და კიდევ სხვა უამრავი შეკითხვა შეიძლება გაჩნდეს, თუ ენასა და ენის მნიშვნელობაზე დავფიქრდებით...

ყველა ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხი, რა თქმა უნდა, არსებობს... ენის რაობაზე ადამიანები ენების გაჩენისთანავე დაფიქრდნენ და კითხვებზე პასუხების გაცემაც სცადეს. ასე ჩამოყალიბდა მეცნიერება, რომელსაც „ენათმეცნიერება“, ანუ „ლინგვისტიკა“ დაერქვა. „ენათმეცნიერება“ ქართული სიტყვაა, ხოლო ლინგვისტიკა კი ლათინური სიტყვისაგან „ლინგვა (lingua – ენა)“ მომდინარეობს, ორივე ტერმინი ერთსა და იმავეს ნიშნავს: „მეცნიერება ენის შესახებ“.

ენათმეცნიერებაში ძალიან ბევრი საკითხია შესწავლილი თუ შესასწავლი, ამიტომ მასში რამდენიმე დარგია გამოყოფილი.

დაუკვირდით ქვემოთ მოცემულ სქემას და თქვენ თავად იმსჯელეთ საკითხის შესახებ:

**ენათმეცნიერების დარგები:**



როგორც უკვე ვნახეთ, ენა მთელი სამყაროა, რომელშიც ყველაფერს თავისი ადგილი, თავისი ფუნქცია-დანიშნულება აქვს. ამ წიგნში ჩვენ გავეცნობით სიტყვის

ფორმებს და მათ მნიშვნელობებს, ვნახავთ, როგორ იცვლება სიტყვა და რა მნიშვნელობას იძენს ის ცვლილების დროს. მეცნიერების იმ დარგს, რომელიც ყველაფერ ამას სწავლობს, **მორფოლოგია** ჰქვია. თუ ენას ერთ უზარმაზარ სახლად წარმოვიდგინებთ, მორფოლოგია მისი დიდი და ცენტრალური ოთახი იქნება, რომლიდანაც არაერთი გასასვლელია სხვადასხვა ოთახისკენ. მორფოლოგიის ათვისებით იმ გასაღებს მოვიპოვებთ, რომლითაც ენის ყველა კარი გაიღება. მომავალში მისი მეშვეობით უამრავი საინტერესო საკითხის ახსნასა და გაგებას შევძლებთ. ეს ცოდნა კი თქვენს სწორ მეტყველებას შეუწყობს ხელს, იქნება ეს ზეპირი თუ წერიტი მეტყველება.

## მეტყველების ნაწილები

საკითხის განსივსება

1. დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ზოგიერთ სიტყვას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ზოგი კი წინადადებაში დამხმარე როლს ასრულებს? შეგიძლიათ, დაასახელოთ მაგალითები?
2. ზოგი სიტყვა სხვადასხვაგვარად იცვლება, ზოგი კი საერთოდ უცვლელია. შეგიძლიათ, გაიხსენოთ ასეთი სიტყვები?
3. ზოგიერთი სიტყვა ჩვენს სულიერ განწყობილებას გამოხატავს; შეგიძლიათ დაასახელოთ ასეთი ფორმები?

### მეტყველების ნაწილები

მორფოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვებისაგან „morphē“ – ფორმა, „logos“ – მოძღვრება. „morphē“ სიტყვასიტყვით „ფორმას“ აღნიშნავს და ასე განიმარტება: „სიტყვის ნაწილი (სუფიქსი, პრეფიქსი, ძირი), რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი). **სუფიქსი, პრეფიქსი, აფიქსი** ლათინური სიტყვებისაგან მომდინარეობს და მორფოლოგიაში ეს ტერმინები ხშირად გამოიყენება. მათი მნიშვნელობებია: **აფიქსი** – (affixus – მიმაგრებული) სიტყვის ნაწილი, რომელსაც აქვს გრამატიკული (და არა საგნობრივი) მნიშვნელობა. **სუფიქსი** – (suffixus – ბოლოს მიმაგრებული) სიტყვის ძირის შემდეგ მოთავსებული აფიქსი; ბოლოსართი. **პრეფიქსი** – (praefixus - წინიდან მიმაგრებული) სიტყვის მარტივი ფუძის (ძირის) წინ მოთავსებული აფიქსი; თავსართი. მაგ.: ა-შენ-ებ-ს სიტყვაში **ა-**, **-ებ**, და **-ს** აფიქსებია. ამ ლათინურ ტერმინებთან ერთად გამოიყენება ქართული წარმომავლობის სიტყვები: **სართი** (ანუ რაც დაერთვის), **თავსართი** და **ბოლოსართი**.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მორფოლოგია ასე განიმარტება: ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც სიტყვის ფორმებს, მის მნიშვნელობებს და ცვლილების თავისებურებებს შეისწავლის, **მორფოლოგია** ეწოდება.

ენაში არსებული სიტყვები იყოფა **დამოუკიდებელი მნიშვნელობის** და **დამხმარე** სიტყვებად. დამოუკიდებელ სიტყვას სხვაგვარად **სრულმნიშვნელოვან** სიტყვასაც უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკე აღებულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და მისი წარმოთქმისას ან წაკითხვისას გარკვეული წარმოდგენა გვექმნება

მასზე. მაგალითად, ავიღოთ ასეთი წინადადება: *პატარა გოგონა ოთახში შემოვიდა და სკამზე დაჯდა, მაგრამ კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.* ამ წინადადებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებია: **პატარა, გოგონა, ოთახი, შემოვიდა...** მათი მოსმენისას ან წაკითხვისას გარკვეული საგანი, ცნება ან მოქმედება წარმოგვიდგება. სიტყვები: **და, მაგრამ, ვერ** ცალკე აღებული არ გამოხატავს რაიმე საგანს, ცნებას ან მოქმედებას. მაგრამ ისინი წინადადებაში გარკვეულ როლს ასრულებენ – ისინი აკავშირებენ სიტყვებს ან წინადადებებს, მნიშვნელობას უცვლიან სიტყვას, ზოგჯერ კი მთელ წინადადებას. ასეთ სიტყვებს **დამხმარე** სიტყვებს უწოდებენ. ავიღოთ ერთი წინადადება და ვნახოთ, როგორ უცვლის მას მნიშვნელობას დამხმარე სიტყვის გამოყენება. შეეცადეთ, თქვენ თავად ახსნათ, რა აზრს გამოხატავს თითოეული წინადადება და რა უცვლის მას მნიშვნელობას:

ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა. ჩემი ძმა კონცერტზე ვერ წავიდა. ჩემი ძმა კონცერტზე ხომ წავიდა? ჩემი ძმა კონცერტზე არ წავიდა? ჩემი ძმა კონცერტზე აღარ წავიდა. ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა-მეთქი. ვაიმე, ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა! ვაშა, ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა! ყოჩაღ, ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა!	განა ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა? ჩემი ძმა განა კონცერტზე წავიდა? ჩემი ძმა კი კონცერტზე წავიდა. ჩემი ძმა კონცერტზე მაინც წავიდა. კი, ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა. ნეტავ ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა? ...იმითომ, რომ ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა. როგორც კი ჩემი ძმა კონცერტზე წავიდა, ...
--	--

თუ ამ წინადადებებს დავაკვირდებით, მათ მნიშვნელობას ისეთი სიტყვები უცვლის, რომლებიც დამოუკიდებლად არ გამოიყენება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, წინადადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ენაში არსებული ყველა ფორმა, დამოუკიდებელი თუ დამხმარე, რამდენიმე ჯგუფად დაყვეს იმისათვის, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი შესწავლა და შემდგომ გარკვეული ნესების დადგენა მათი გამოყენებისათვის.

ამ ჯგუფებს **მეტყველების ნაწილები** ჰქვია.

**ქართულ ენაში ათი მეტყველების ნაწილია. ესენია:**

1. **არსებითი სახელი:** *მაგიდა, სკამი, სახლი, მასწავლებელი, სიხარული...*
2. **ზედსართავი სახელი:** *ლამაზი, კეთილი, ცუდი, თეთრი, მწარე, ტკბილი...*
3. **რიცხვითი სახელი:** *ერთი, ორი, ათი, ასი, ბევრი, მეორე, მეხუთედი...*
4. **ნაცვალსახელი:** *მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი, ვინ, რა, რომელი...*
5. **ზმნა:** *ვლაპარაკობ, ვწერ, მივდივარ, ვზივარ, გავაკეთებ, მეძინა...*
6. **ზმნიზედა:** *გუშინ, შარშან, გაისად, ხვალ, ზეგ, აქ, გარეთ, ჩქარა...*
7. **თანდებული:** *ვით, თან, ზე, ში, თვის, გან, შესახებ, მიერ...*
8. **კავშირი:** *და, რომ, მაგრამ, როდესაც, რადგან, რათა, თუმცა...*

9. ნაწილაკი: არა, ვერ, ხოლმე, თურმე, მეთქი, თქო, ო, ც...

10. შორისდებული: ყოჩაღ, ვაიმე, უჰ, ოჰ, უი, ვაშა...

ჩამოთვლილთაგან პირველი ოთხი სახელია. მათ გარკვეული ნიშნები ერთნაირი აქვთ, მაგალითად, ის, რომ იცვლებიან ბრუნვების მიხედვით.

სახელები და ზმნა ცვალებადი სიტყვებია, ისინი სხვადასხვაგვარად იცვლებიან და სხვადასხვა მნიშვნელობას იღებენ.

ზმნიზედა უცვლელია, მაგრამ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა.

ბოლო ოთხი კი – თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული – უცვლელი მეტყველების ნაწილებია, ამავე დროს ისინი დამხმარე სიტყვებია, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ წინადადებაში გარკვეულ როლს ასრულებენ.

### სავარჯიშოები ანალიზისათვის

1. წაიკითხეთ მოცემული სიტყვები და დაალაგეთ ისინი ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

გრძელი მაგიდა მეხუთე რადგან ვინ -თვის მიმართ სახლი გამო წავიდა გუშინ -ც ას ორმოცი წიგნი ლამაზი თეთრი ჩიტი ოჰ! მიერ გარეთ ზემოთ მაგრამ არა მე გრილი თქვენ კი მწარე თხუთმეტი გავაკეთე ძლივს სადაც ყოჩაღ! ხოლმე პატარა სავარძელი საინტერესო ცხენი ის ხვალ შარშან თარო სხედან ნუთუ -ში დღეს მრგვალი ალბომი წვეტიანი შარშანწინ რომ დედა სასიამოვნო ჩვენ გააკეთებინა აქ ვაშა! ქვემოთ ჩემი რომელიც თურმე ამინდი -მეთქი შინ მშია წყალი პირველი კედელი თქვენი ჩქარა მიაღწია ნუ მეათე ძმა ვაიმე ამაღელვებელი საათი იქ შესახებ უჰ! აივანი წაიღო ფურცელი ჩვენი უქუდო მესამოცე ჭკვიანი სიტყვა თუმცა

მეტყველების ნაწილები:

1. არსებითი სახელი	
2. ზედსართავი სახელი	
3. რიცხვითი სახელი	
4. ნაცვალსახელი	
5. ზმნა	
6. ზმნიზედა	
7. თანდებული	
8. ნაწილაკი	
9. კავშირი	
10. შორისდებული	

# არსებითი სახელი

კაცი  
ყვავილი  
ქვა...

## თანხმოვანფუძიანი სახელები

ქალი  
მასწავლებელი  
სტუმარი...

## ხმოვანფუძიანი სახელები

მაგიდა,  
ხე,  
წყარო...

### უკუმშველი სახელები

სკამი  
ნათურა  
ოთახი...

### კუმშვადი სახელები

სოფელი  
აგამი  
სტუმარი...

### კვეცადი სახელები

ხე  
მზე  
მთა...

### უკვეცელი სახელები

უთო  
კუ  
ბუ...

### კუმშვად- კვეცადი სახელები

პეპელა  
ქვეყანა  
ტომარა...

### გამონაკლისი

ამბავი  
თვალი  
ბეჭედი...

### გამონაკლისი

ღვინო  
ღრო  
ხბო...

1. რაზე მიგანიშნებთ ტერმინი „არსებითი სახელი“? თქვენი აზრით, რატომ დაერქვა ეს სახელი ამ მეტყველების ნაწილს?
2. იცით, რა პრინციპით ჯგუფდება არსებითი სახელები?

### არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივაა, რასაც ვხედავთ და შევიგრძნობთ, რეალურად არსებობს კიდეც. ენაში ეს ყოველივე სიტყვებით გამოიხატება. გრამატიკულად კი ასეთ სიტყვებს **არსებითი სახელი** ჰქვია და იგი ასე განიმარტება: **საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ეწოდება**. თუ დაუკვირდებით, ტერმინიც სწორედ აქედანაა მიღებული – ის, რაც არსებობს, არის არსებითი სახელი. დაუკვირდით სიტყვებს: არსი, არსება, არსებობა, არსებითი, არსებული, არარსებული... ეს სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ მათ ერთი ძირი აქვთ.

**არსი, არსება, არსებობა, არსებითი, არსებული, არარსებული...** დამოუკიდებლად ეცადეთ ახსნათ თითოეული ამ სიტყვის მნიშვნელობა და გამოყავით მათ შორის ის ნაწილი, რომელიც ამ სხვადასხვა ფორმას დაახლოებით ერთ შინაარსს ანიჭებს.

არსებით სახელებს დაესმის კითხვები: **ვინ?** და **რა? ვინ** კითხვა დაესმის მხოლოდ ადამიანებს, რა კითხვა კი – ყველა დანარჩენს.

არსებითი სახელები **შინაარსის მიხედვით** შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

**ვინ ჯგუფის** – ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები: *კაცი, ქალი, ბავშვი, მასწავლებელი, მძღოლი...*

**რა ჯგუფის** – ყველა დანარჩენი: *ძალი, კატა, ქათამი, წიგნი, მაგიდა, ატამი...*

**სულიერი** – ყველა ის არსება, რომელსაც საკუთარი ძალით გადაადგილება შეუძლია: *ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, მწერები...*

**უსულო** – საგანი, რომელსაც საკუთარი ძალით გადაადგილება არ შეუძლია: *სახლი, ქვა, ფანქარი, მაგიდა, სკამი...*

**კონკრეტული** – ის არსებითი სახელები, რომლებსაც ნივთიერი სახე აქვთ, რომლებსაც შევხებით და შევიგრძნობთ: *წიგნი, რვეული, ხე, სახლი...*

**აბსტრაქტული** – ისეთი რამე, რასაც ნივთიერი სახე არა აქვს და რომელსაც შეხებით ვერ შევიგრძნობთ: *სიხარული, სიცოცხლე, ბედნიერება, სევდა, წუხილი, ფიქრი...*

**საკუთარი** – სახელი, რომელიც ერთ რომელიმე საგანს ჰქვია. ესაა ადამიანის სახელი და გვარი, ქვეყნის, ქალაქის, მდინარის, ადგილის, ცხოველის სახელები: *გიორგი, ბაქრაძე, საქართველო, თბილისი, რიონი, ლილო, ყურშა...*



**საზოგადო** – სახელი, რომელიც ერთნაირ საგანთა საერთო სახელია: მაგიდა, სახლი, სკამი, ბავშვი, დოქი, ხარი, ძაღლი, საწოლი, ტელეფონი...

**კრებითი** – სახელი, რომელიც ფორმით ერთს აღნიშნავს, შინაარსით კი – ბევრს: ხალხი, ერი, გუნდი, ხროვა, ფარა, ჯოგი, ახალგაზრდობა, სტუდენტობა...

**ნივთიერებათა** სახელებია: რკინა, ოქრო, ღვინო, თაფლი, რძე, შაქარი, შალი, მარილი, მინა, სპილენძი... მათ ცალკე ერთეულად წარმოდგენას და დათვლას ვერ შევძლებთ.

**მოქმედების** სახელი კი მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელია. ასეთებია: წერა, კითხვა, ვარჯიში, ცეკვა, სიმღერა, წოლა, ქება...

## სავარჯიშოები ანალიზისათვის

1. წაიკითხეთ მოცემული სიტყვები და დაალაგეთ ისინი ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ვერცხლი ნახირი ლომი მასწავლებელი თოხნა თათქარიძე ბრინჯაო სიხარული ბალახი ფიცარი უშბა ხენა მხატვარი წერა ფანქარი რძე ფარა ხარი თინათინი ბედნიერება ბალერინა ფქვილი ცხენი ხალხი თაფლი თითი მკა ჯოგი შექსპირი ქალაქი კაცი ქვა ყვავილი ხილი შაქარი ბავშვი მარიამი ხატვა ჯოგი ფიროსმანაშვილი ქარვა ტაბახმელა დაბა ნავთი ქება სიცოცხლე გულქვაობა სიკეთე სახლი მომღერალი ღვინო წყალი არაგვი წუხილი ხროვა ყურშა პარიზი კავკასიონი კბილი სურათი პატიოსნება კეთება ბათუმი ჟურნალი „ნიანგი“ დარდი სიზარმაცე მარილი დავითი იალბუზი

არსებითი სახელები შინაარსის მიხედვით:

ვინ ჯგუფის სახელები	
რა ჯგუფის სახელები	
სულიერი არსებითი სახელები	
უსულო არსებითი სახელები	
კონკრეტული სახელები	
აბსტრაქტული სახელები	
საკუთარი სახელები	
საზოგადო სახელები	
კრებითი სახელები	
ნივთიერებათა სახელები	
მოქმედების სახელები	

2. დაუკვირდით და თქვენ თავად იმსჯელეთ, შეიძლება თუ არა ერთი სახელი რამდენიმე ნიშნის მიხედვით დახასიათდეს?



## ბრუნვათა სისტემა ქართულში

საკითხის განხილვამდე

1. გრამატიკაში არსებობს ასეთი ტერმინები: ფორმა და მნიშვნელობა; ფორმისა და მნიშვნელობის ცვლილება. ახსენით, რას ნიშნავს ეს?
2. იცით, როგორ იცვლის ფორმას არსებითი სახელი და რა ეწოდება ამგვარ ცვლილებას?
3. ზოგი სახელის ფორმას აკლია ასო-ბგერა – იცით, რა ეწოდება ამგვარ პროცესებს ენაში?

### არსებითი სახელის ბრუნვა

სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს ფორმა, მაგრამ არ შეიცვალოს მნიშვნელობა; მაგრამ ასევე შეიძლება სიტყვის ფორმის ცვლილებამ მისი მნიშვნელობის ცვლილება გამოიწვიოს. მაგალითად: *ქუდი, ქუდმა, ქუდს, ქუდის, ქუდით...* – ეს სიტყვები სხვადასხვა ფორმისაა, მაგრამ მათი მნიშვნელობა ერთია. მაგრამ *ქუდიანი, უქუდო, საქუდე, ქუდოსანი, მექუდე...* მნიშვნელობით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ძირი ერთი აქვთ:

სიტყვის ფორმის ცვლილებას, მისი მნიშვნელობის ცვლილების გარეშე, **ბრუნვა** ჰქვია.

არსებითი სახელი შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს. ამ ფორმებს **ბრუნვები** ჰქვია, ხოლო იმ ნიშნებს, რომლებიც ბრუნვის ფორმებს ანარმოებს – **ბრუნვის ნიშნები**. ქართულ ენაში შვიდი ბრუნვაა და ყველას თავისი ნიშანი აქვს:

ბრუნვათა სახელები	ბრუნვის ნიშნები	ნიმუშები		
სახელობითი	-ი, -□	კაც-ი	დროშა	წყარო
მოთხრობითი	-მა, -მ	კაც-მა	დროშა-მ	წყარო-მ
მიცემითი	-ს	კაც-ს	დროშა-ს	წყარო-ს
ნათესაობითი	-ის, -ს	კაც-ის	დროშა-ის	წყარო-ს
მოქმედებითი	-ით, -თი	კაც-ით	დროშა-ით	წყარო-თი
ვითარებითი	-ად, -დ	კაც-ად	დროშა-დ	წყარო-დ
წოდებითი	-ო, -ვ	კაც-ო	დროშა-ვ	წყარო-ვ

## ■ არსებითი სახელის რიცხვი

საგანი შეიძლება იყოს ერთი ან ბევრი. ერთი საგანი **მხოლობითია**, ბევრი კი – **მრავლობითი**. მრავლობით რიცხვს ქართულში გამოხატავს **-ებ** ბოლოსართი: *კაცი – კაც-ებ-ი*, *ბავშვი – ბავშვ-ებ-ი...* ბრუნვის ნიშნები, ჩვეულებრივ, სახელს **-ებ** ბოლოსართის შემდეგ აქვს. მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად შეიძლება სახელს დაერთოს აგრეთვე **-ნ** ან **-თ** ბოლოსართები. ასეთ მრავლობითს **ნართანიანი** მრავლობითი ჰქვია და ის უფრო ძველ ქართულში გვხვდებოდა: *კაცი, კაცთა, კაცნო...* ტერმინი „ნართანიანი“ შექმნილია მანარმოებელი ბგერების სახელწოდებების შეერთებით (**ნართან**).

ბრუნვები	-ებიანი მრავლობითი	ნართანიანი მრავლობითი
სახელობითი	ამხანაგ-ებ-ი	ამხანაგ-ნ-ი
მოთხრობითი	ამხანაგ-ებ-მა	ამხანაგ-თა
მიცემითი	ამხანაგ-ებ-ს	ამხანაგ-თა
ნათესაობითი	ამხანაგ-ებ-ის	ამხანაგ-თა
მოქმედებითი	ამხანაგ-ებ-ით	-----
ვითარებითი	ამხანაგ-ებ-ად	-----
წოდებითი	ამხანაგ-ებ-ო	ამხანაგ-ნ-ო

ნართანიან მრავლობითში რამდენიმე ბრუნვის ფორმა ერთმანეთს ემთხვევა. იმის გასაგებად, თუ რომელი ბრუნვის ფორმაა, შეიძლება ჩანაცვლების ხერხი გამოვიყენოთ: ნართანიანი სახელი წინადადებაში (ანუ კონტექსტში) უნდა ჩავანაცვლოთ იმავე სახელის **ებ**-იანი მრავლობითით ან მხოლობითი რიცხვის ფორმით. რომელი ბრუნვის ფორმასაც მოითხოვს კონტექსტი, ის იქნება თანიანი მრავლობითის ბრუნვა. *კაცთა სწრაფად მიუგეს სიტყვა = კაცებმა სწრაფად მიუგეს სიტყვა; „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“ = ჩვენ, კაცებს, მოგვცა ქვეყანა... ადამიანთა მომავალი = ადამიანების მომავალი...*

მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ:

- ◆ **საკუთარ სახელებს (გეოგრაფიულ, ანუ ადგილის სახელებს და ადამიანის პირად სახელებს):** *თბილისი, საქართველო, თინათინი, ნიკოლოზი...*
- ◆ **ნივთიერებათა სახელებს:** *რძე, თაფლი, შაქარი... ალუმინი, ვერცხლი, ოქრო...*
- ◆ **აბსტრაქტულ სახელებს:** *ბედნიერება, სიხარული, მწუხარება...*
- ◆ **მოქმედების სახელებს:** *კითხვა, წერა, სმა, ჭამა...*

მაგრამ გამონაკლისის სახით ზოგჯერ შეიძლება ეს სახელებიც შეგვხვდეს მრავლობითი რიცხვის ფორმით: მაგალითად:

- ◆ თუ ადამიანის საკუთარი სახელი ზოგადი, ტიპის აღმნიშველი მნიშვნელობით გამოიყენება: *ლუარსაბები დამლუპველია ქვეყნისთვის... თინათინები და ნესტანები, ავთანდილები და ტარიელები გვიმრავლოს ღმერთმა!*
- ◆ თუ ნივთიერებათა სახელები ცალკეული ერთეულების ან ნივთების სახით წარმოგვიდგება: *ბიჭმა ოქროები მაგიდაზე დაყარა* (იგულისხმება ოქროს ნივთები); *ეზოში რკინები ეყარა* (იგულისხმება რკინის ნაჭრები ან ნივთები); *ღვინოები* (იგულისხმება სხვადასხვა სახეობის), *ცეკვები, ხალხები...*
- ◆ იშვიათად, უფრო მეტად პოეზიის ენაში, შეიძლება ნარ-იან მრავლობითში შეგვხვდეს მოქმედების სახელები: მაგალითად: ვაჟა-ფშაველას ლექსში „არაგვი“ ასეთი ფორმებია:

*„რა ლამაზია, წყეულო,  
შენთ ზვირთთა ლალი ჩქერანი,  
გააფთრებულსა ტალღასა,  
კლდეს რო ნაუვლენ თქერანი!  
შენ თვალს გარიდებ მაშინა,  
მთებისკე მნადის ცქერანი,  
უნდომლად მამინდებიან  
ბედკრულს ბედკრულნი მღერანი...“* (ვაჟა)

- ◆ ასევე შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმით შეგვხვდეს ცალკე გამოყენებული მოქმედების სახელები: **შენიშვნა** – მაგრამ: **შენიშვნები, შენიშვნანი; მითითება** – **მითითებები, მითითებანი; კითხვა** – **კითხვები; ცეკვა** – **ცეკვები.**
- ◆ **დაიმახსოვრეთ:**  
შეცდომადაა მიჩნეული ფორმები: *წნევები აქვს* – **სწორია: მაღალი წნევა აქვს; შიშები დასჩემდა** – **სწორია: შიში დასჩემდა; სროლები ისმის** – **სწორია: სროლა ისმის.**

## სავარჯიშოები ანალიზისათვის

1. აბრუნეთ ქვემოთ მოცემული სახელები მხოლობითსა და ორივე მრავლობითში:  
ამხანაგი, ბრძენი, ვარსკვლავი, ბურთი, მეფე.

## ■ ბრუნვის ნიშნის გავრცობა

ბრუნვის ნიშნის შემდეგ ფორმას შეიძლება დაერთოს -ა ხმოვანი. ეს არის სავრცობი, რომელიც ძირითადად რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება:

1. როცა მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებაში დასმულ სახელებს და კავშირი მოჰყვება: მთასა და ბარს... კაცისა და ქალის... ფარჩითა და აბრეშუმით...
2. როცა გვაქვს სიტყვების შებრუნებული წყობა: ლექსი აკაკი წერეთლისა...
3. როცა სახელს -ც ნაწილაკი დაერთვის: კაცსაც, ბავშვსაც...
4. როცა სახელს დაერთვის -ვით თანდებული: პატარასავით, მზესავით, ლომსავით...

## ■ რა არის ფუძე?

ფუძე სახელის ის ნაწილია, რომელსაც ბრუნვის ნიშნები ერთვის. ფუძე რომ მოვძებნოთ, სახელი **მოთხრობით** ან **მიცემით** ბრუნვაში უნდა ჩავსვათ და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი. რაც დარჩება, სწორედ ის იქნება **ფუძე**. თუ ფუძე თანხმოვანზე მთავრდება, მაშინ სახელი **თანხმოვანფუძიანი** იქნება, თუ ხმოვანზე – **ხმოვანფუძიანი**: *კაც-მა, კაც-ს, წყარო-მ, წყარო-ს*.

ფუძე შეიძლება იყოს **სრული** ან **უსრული**. სრულია ფუძე, რომელსაც არ აკლია ასო-ბგერა. უსრულ ფუძეს კი შეიძლება აკლდეს ასო-ბგერა: *ატამ-ი, ატმ-ის, ატმ-ით*.

## სავარჯიშოები ანალიზისათვის

ნაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სახელები. თქვენ თავად მოძებნეთ ფუძე და აღნიშნეთ: სახელი თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი, ფუძე სრულია თუ უსრული.

ატმის ამხანაგით მგლად მთის შველის კვერნას მამის ივანესი მასწავლებლის ტყეო კვერნის კიბით ურმით ღამის მგელო ირმის მზის კაცად მასწავლებლად გიორგიმ ზამთრის ელენეს მიწის ღამით ცხენის ძაღლით პაპის ტყის რქით ბალახის ღიმილით ბედნიერებით შვილით ელენესი

1. დააკვირდით, რომელ ფუძეს რომელი ხმოვანი აკლია?
2. სად აკლია ეს ხმოვანი – ფუძის შიგნით თუ ფუძის ბოლოს?
3. დაუკვირდით, აბრუნეთ სახელები და თქვენ თავად ახსენით, რომელ ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს სრული ფუძე და რომელ ბრუნვაში – უსრული ფუძე. შემდეგ ჩამოაყალიბეთ თქვენი მსჯელობა წესად და ჩაწერეთ რვეულში.